ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

08.07.2014 №133

თბილისი

სტუ-ს კვების მრეწველობის ინსტიტუტის ვაკანტური
სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2014 წლის 03 ივლისის №038 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრული პირობებით.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს ბრძანების გამოცემის დღიდან და დასრულდეს 2014 წლის 23 ივლისს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტში. (მის: გურამიშვილის ქ.№17) 10 საათიდან – 16 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს 2014 წლის 24 ივლისს, შედეგები გამოცხადდეს 2014 წლის 25 ივლისს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. კვების პროდუქტებისა და საკვები დანამატების უსაფრთხოების კვლევის განყოფილება.
   - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული),
   - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული),
   - მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული).

2. კვების პროდუქტებისა და საკვები დანამატების ტექნოლოგიების კვლევის განყოფილება
   - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (4 საშტატო ერთეული).
   - მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული).

3. კვების პროდუქტების წარმოების ეკოლოგიის განყოფილება.
   - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული),
   - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული),
   - მეცნიერ-თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული).

4. სამეცნიერო პროდუქციის დანერგვის განყოფილება
   - მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (დამოწმებული);
5. სამეცნიერო გრანტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა მასალები (სასურველია).

კონკურსში მონაწილეობისთვის **აუცილებელია** საბუთების წარმოდგენა **ბეჭდური ფორმით.**

ყველა კონკურსანტი **ვალდებულია** საბუთების **ბეჭდურ ფორმებთან ერთად ელექტრონული ფორმით** წარმოადგინოს: კალენდარული ავტობიოგრაფია (CV); გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა. ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით, ან გაიგზავნოს მისამართზე GFScompany@yahoo.com